ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მე-7 მოწვევის საკრებულოს წევრის

დავით ფარცვანიას

ანგარიში

2022

ბატონო გიორგი,

მოგახსენებთ, რომ ვარ ქ.თბილისის, მუნიციპალიტეტის მე-7 მოწვევის საკრებულოს დამოუკიდებელი წევრი. ჩემი უფლებამოსილების ცნობა მოხდა 2022 წლის 25 იანვარს. კანონით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად, გახლავართ ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო, აგრეთვე სარევიზიო კომისიების წევრი.

საანგარიშო პერიოდში, სულ მოწვეულ იქნა 10 სხდომა, რომელზეც მიღებულ იქნა 92 დადგენილება და 553 განკარგულება.

ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

როგორც მოგახსენეთ გახლავართ ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი. საანგარიშო წლის პერიოდში ჩატარდა 28 სხდომა, საიდანაც დავესწარი 17 სხდომას და შევისწავლე 180 საკითხი.

სარევიზიო კომისია

2022 წლის 15 თებერვლიდან, 2022 წლის 7 ოქტომბრის ჩათვლით, სარევიზიო კომისიამ

გამართა 10 სხდომა. ჩემი მონაწილეობით განხილულ იქნა 15 საკითხი.

გარდა კომისიებსა და სხდომაში მონაწილეობისა, როგორც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დამოუკიდებელმა წევრმა, ჩემი უფლებამოსილების ცნობის დღიდან საანგარიშო პერიოდის ჩათვლით, უფლებამოსილების ფარგლებში შესაბამის უწყებებს მივმართე შუამდგომლობით მოქალაქეების დასახმარებლად. ზემოაღნიშნული მოიცავდა შესაბამისი მოწყვლადი ჯგუფების მედიკამენტებითა დასხვადასხვა სახით მათ დახმარებას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდის განმავლობაში რამდენჯერმე გავმართე შეხვედრამოსახლეობასთან, ასევე სტუდენტებთან, რომელზეც სხვა საკითხებთან ერთად, ძირითადი აქცენტი დაისვა თვითმართველი ქალაქების როლის ზრდაზე სახელმწიფოს განვითარების პროცესში. ასევე, ყოველკვირეულად მაქვს მოქალაქეების მიღების დღე, რათა ჩემი შესაძლებლობების ფარგლებში, მაქსიმალურად უზრუნველვყო მათი პრობლემების გადაჭრა.